სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

75395487305814

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N140828022

რეგისტრაციის თარიღი

07.08.2014 წ

ნოტარიუსი: ნინო სალაძე
მისამართი: თბილისი, ც. დადიანის #105
ტელეფონი: 2 660 383

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო, ქალაქი თბილისი, ორი ათას თოთხმეტი წლის *შვიდი აგვისტო*

ჩემთან, ნოტარიუს *ნინო სალაძესთან* სანოტარო ბიუროში, მდებარე **ქ. თბილისი, ც. დადიანის ქუჩა №105,** გამოცხადდა: **ბორის გაბუნია,** (დაბადებული 19.07.1974 წელს, რეგისტრირებული მისამართზე: ოჩამჩირე, საბჭოს ქუჩა №27, პირადი განცხადებით ამჟამად მცხოვრები: ქ. თბილისში, ნინუას ქუჩა №3, კორპ. №4, ბინა №22, პირადი ნომერი 62005008981). მან განაცხადა, რომ სურს უფლებამოსილება მიანიჭოს **ალექსანდრე სუჯაშვილს** (დაბადებული 30.07.1978 წელს თბილისში, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი, დიდი დიღომი გ. ბრწყინვალეს №37, ბინა №54, პირადი ნომერი 01025001695) და მოითხოვა მინდობილობის შედგენა და სანოტარო წესით დადასტურება. მათი პირადობა დავადგინე მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით, ქმედუნარიანობა შევამოწმე და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. უფლებამოსილება შევამოწმე ამონაწერით სამეწარმეო რეესტრიდან. შემდეგ შევადგინე მინდობილობის ტექსტი. **ბორის გაბუნიამ** წაიკითხა მინდობილობა, მოიწონა მინდობილობის ტექსტი და პირადად ჩემი თანდასწრებით მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობაზე:

მინდობილობა

მე, **ბორის გაბუნია, (მონაცემები მოცემულია ზემოთ),** როგორც შ.პ.ს. "ჯორჯიან ქარდბოარდი"-ს (საიდენტიფიკაციო კოდი 205282816) დირექტორი, უფლებამოსილებას ვანიჭებ, **ალექსანდრე სუჯაშვილს (მონაცემები მოცემულია ზემოთ),** მასზედ რომ მან "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით, საზოგადოების წესდებითა და წინამდებარე მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში ჩემი როგორც დირექტორის სახელით აწარმოოს საზოგადოების კუთვნილ უძრავ ქონებაზე მშენებლობა/რეკონსტრუქცია/მიშენება/დაშენებასთან დაკავშირებული საქმეები. აღნიშნულთან დაკავშირებით იყოს ჩემი წარმომადგენელი შესაბამის სახელმწიფო და არასახელმწიფო სტრუქტურებში, ქალაქის მერიაში, არქიტექტურის სამსახურებში, საგადასახადო, და სხვა სამსახურებში, წარადგინოს საჭირო დოკუმენტები, შეიტანოს განაცხადები, გადაიხადოს სახ, ბაჟები და მოსაკრებლები, მიიღოს ნებართვები, მოაწეროს ხელი და შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება რაც დაკავშირებული იქნება ზემოაღნიშნული დავალების შესრულებასთან.
მინდობილობა, გაცემულია **ერთი წლის ვადით და ძალაშია ორი ათას თხუთმეტი წლის შვიდი აგვისტოს ჩათვლით.**
მინდობილობა შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ ეგზემპლარად, ორი გადაეცა **მიმნდობს,** ერთი ინახება ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელსაც აქვს დანართი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

მიმნდობი: ბორის გაბუნია

გადახდილია საზღაური, საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის დადგენილება №507-ს ("სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ანაზღაურების" შესახებ) 31-ე მუხლის შესაბამისად 10 (ათი) ლარი + დღგ 1.80 (ერთი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარი, ასევე 2 (ორი) ლარი, იგივე დადგენილების 39-ე მუხლის შესაბამისად, სულ 13.80 (ცამეტი დასი და ოთხმოცი თეთრი) ლარი.

ნოტარიუსი: ნ. სალაძე